ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №178581

ნომერი: AR150840

თარიღი : 15.05.2012

გაცემის თარიღი : 23.05.2012

გაცნობის თარიღი : 05.06.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი გურამიშვილი , N 84 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გრიგოლ ზარნაძე პ/ნ 01007012424
- თბილისი ქუთაისის ქ. N 31

ორგანიზაცია:

- შპს "ნამი" კოდი: 205086164

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- კოეფიციენტის განსაზღვრა

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისადა სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის05 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული

„დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის“ თანახმად

გადაწყვეტილება

გაცნობებთ, რომ დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის შესაბამისად მითითებული ტერიტორია (ნაკ. #01.12.01.003.055) მდებარეობს საწარმოო ზონა 1-ში (ს-1), რომელშიც მოქმედი კანონმდებლობით არ არის დადგენილი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები. ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება #4-13 ,,ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები”-ს მიხედვით სამრეწველო ზონა 1–ში (ს-1) განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები. შესაძლებელია სამრეწველო ზონა 1 (ს-1)-ის ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი საზოგადოებრივი შენობების/სამყოფების არსებობა კანონმდებლობის შესაბამისად.

ამასთან დამატებით გაცნობებთ, რომ მითითებულ საპროექტო ტერიტორიაზე საწარმოო შენობა–ნაგებობის განთავსების მიზნით, თქვენი #143089 განაცხადის პასუხად, სამსახურის მიერ #135864 გადაწყვეტილებით უკვე გაიცა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge